ხელშეკრულება №-27

28-[illegible] 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, ეგნატე ფიფიას სახელობის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი როენა ფიფიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეტალონი-მედია“, შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით (10 თვის განმავლობაში) საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა, კერძოდ საინფორმაციო სააგენტო www.Etaloni.ge-ს მიერ შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;

1.2. საიტზე www.Etaloni.ge შემსყიდველის სიახლეების მათ შორის ღონისძიებების, შეხვედრების, კონფერენციების, ინტერვიუების და სხვა გაშუქება როგორც წინმსწრები, ასევე შემდგომი გაშუქება (შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ფოტოები); ყოველთვიურად - განუსაზღვრელი რაოდენობით;

1.3. შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თემებზე ინტერვიუების და მოკლე კომენტარების მომზადება და საიტზე www.Etaloni.ge განთავსება (წინასწარი შეთანხმებით, შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში); თვეში არაუმეტეს 1 (ერთი) ერთეულისა;

1.4. აღნიშნული მომსახურების ღირებულებას შემსყიდველი აანაზღაურებს იმ მოცულობით და პირობებით, რაც მოცემულია აღნიშნულ ხელშეკრულებაში.

1.5. კლასიფიკატორის (CPV) კოდი 92400000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება 180 (ასოთხმოცი) ლარით.

2.2. ერთი თვის მომსახურების ღირებულებაა 18 (თვრამეტი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.5. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურების შესასრულებლად საჭირო ყველა სიახლე/ინფორ-მაცია იმ ვადებში, რაც საშუალებას იძლევა შესრულებულ იქნას მომსახურება;
ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირო-ბების შესაბამისად;
4.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულე-ბით გათვალისწინებული პირობებით;
ბ) შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საიტზე განთავსებამდე მოახდინოს ტექსტის კორექტირება ან/და რედაქტირება;
გ) მიმწოდებლის შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე არ განათავსოს ვებ-გვერდზე შემსყიდვე-ლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს არაკორექტულ, არაეთიკურ, ან მესამე პირების შეურაცხმყოფელ ინფორმაციას;
დ) აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირე-ბთან.
4.7. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის მომსახურების გაწევის შესრულებას;
4.8. განსათავსებელი სიახლე/ინფორმაცია ან/და მასალა არ უნდა იყოს დატვირთული მესამე პირების უფლებებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ მომწოდებელი ან შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე მას წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ან მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეების მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი,
ეგნატე ფიფიას სახელობის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა
ს/კ 242735910
მისამართი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი,
ეგნატე ფიფიას სახელობის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა

დირექტორი

/რ.ფიფია/

მიმწოდებელი
შპს „ეტალონი-მედია“
ს/კ 204572024
ფაქტიური მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზირი #116, დიდუბე პლაზა, ოფისი #201
იურიდიული მისამართი: თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #41
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE05TB7311836020100002

დირექტორი

/მ. ღოღობერიძე/